BP საქართველო

2007 წლის მდგრადი განვითარების ანგარიში

BP ჯგუფი

BP ნავთობისა და გაზის, აგრეთვე ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით აწარმოებს ტრანსპორტის, გათბობისა და განათებისათვის საჭირო ენერგიას, აგრეთვე ყოველდღიური მოხმარების საგნებსა და პროდუქციას. ჩვენ წარმოვადგენთ საერთაშორისო კომპანიას, რომელსაც 97600-მდე თანამშრომელი ჰყავს დასაქმებული მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყანაში, სადაც ვსაქმიანობთ და ვემსახურებით ჩვენს მომხმარებელს. 29 ქვეყანაში ვმონაწილეობთ წიაღისეულის საძიებო და მოპოვებით სამუშაოებში. ჩვენი ძირითადი აქტივების დაახლოებით 40% ამერიკის შეერთებულ შტატებშია განთავსებული, ხოლო 25% – დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

2007 წელს BP ჯგუფის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებლებისთვის მიწოდებული ნავთობისა და გაზის მოცულობამ დღიური 3,8 მილიონი ბარელის ეკვივალენტი შეადგინა. 2007 წელს BP-მ 112%-ით ჩაანაცვლა მოპოვების წლიური მოცულობა და ნავთობისა და გაზის დადასტურებული მარაგების მოცულობა 17,8 მილიარდ ბარელამდე გაზარდა. 2007 წელს გაკეთებულ ახალ აღმოჩენებს შორის იყო შაჰ-დენიზის საბადოს უდიდესი რეზერვუარი აზერბაიჯანში, საიდანაც ამჟამად საქართველოც მარაგდება. 2007 წელს BP ჯგუფის კაპიტალურმა დანახარჯებმა 19,2 მილიარდი დოლარი შეადგინა (2006 წელს იგივე მაჩვენებელი 17,2 მილიარდი დოლარი იყო).

წინამდებარე ანგარიში: მიმოხილვის სფერო და პროცესი

ეს არის BP-ის მიერ საქართველოში გამოცემული მდგრადი განვითარების მეოთხე ანგარიში, რომელიც აღწერს ჩვენს საქმიანობას საქართველოში 2007 წელს და სხვადასხვა მაჩვენებლებით ასახულ მიღწევებს. ჩვენთვის „მდგრადობა“ ნიშნავს BP-ის, როგორც საწარმოო ჯგუფის უნარს, განაახლოს აქტივები, შექმნას და მომხმარებელს მიაწოდოს უკეთესი პროდუქცია და საზოგადოების მზარდ მოთხოვნებს გაუმჯობესებული მომსახურებით უპასუხოს, მოიზიდოს თანამშრომელთა ახალი თაობები, თავისი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვაში და შეინარჩუნოს საკუთარი მომხმარებლების, აქციონერებისა და იმ საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა, სადაც საქმიანობს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ამ საკითხებს და აღწერს, თუ როგორ ვცდილობთ, ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით ჩვენი პირდაპირი კონტროლის სფეროებში და დადებითი გავლენა მოვახდინოთ უფრო ფართო სპექტრის მოვლენებზე საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ხელშეწყობით.

ისევე როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც ფორმალური პროცესის მეშვეობით გამოვავლინეთ ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებოა შიდა და გარეშე დაინტერესებული მხარეებისათვის. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ ანგარიშში მდგრადი განვითარებისთვის გაწეული ჩვენი საქმიანობის უმშვენლოვანესი სფეროების დაბალანსებულ და დასაბუთებულ ასახვას. გასული წლების ანგარიშების მსგავსად, წინამდებარე ანგარიში შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

ანგარიშში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება მოცემულია 18 გვერდზე.

1 BP საქართველოს გენერალური მენეჯერის ხედვა
2 2007 წლის მნიშვნელოვანი ფაქტები
3 საქმიანობა პასუხისმგებლობით
4 BP საქართველოში
6 ჯანდაცვა და უსაფრთხოება
8 ეკოლოგიურად უსაფრთხო საქმიანობა
9 დიალოგი და თანამშრომლობა
12 სამუშაო მაჩვენებლები და კომენტარი
13 ჩვენი როლი საზოგადოებაში
14 განათლება
15 ბიზნესის განვითარება
17 ხელმისაწვდომი ენერგია
18 ტერმინების განმარტება
და დამატებითი ინფორმაცია

ყდაზე: მეორე საქაჩი სადგური თეთრიწყაროში

ამ ანგარიშში „BP“-ისა და „BP ჯგუფის“ დასახელებისას იგულისხმება BP p.l.c., მისი ფილიალები და შვილობილი კომპანიები. ანგარიშში ერთიანად არის წარმოდგენილი BP p.l.c.-ის, მისი ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და საქმიანობა, თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული. ნაცვალსახელები „ჩვენ“ და „ჩვენი“ გულისხმობს BP ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული. თანხები ამ ანგარიშში გამოხატულია აშშ დოლარებში, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

BP საქართველოს გენერალური მენეჯერის ხედვა

2007 წელს BP საქართველოს მიღწევებს აფასებს და კომპანიის წინაშე დასახულ სამომავლო ამოცანებზე საუბრობს BP საქართველოს გენერალური მენეჯერი, ჰიუ მაკდაუელი.

როგორი იყო 2007 წელი BP საქართველოსთვის? ეს იყო მილსადენების სტაბილური ფუნქციონირების წელიწადი, უსაფრთხოებისა და წარმადობის მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნებით. ჩვენ შეუფერხებლად გავიარეთ მშენებლობის შემდგომი გარდამავალი პერიოდი და შევძელით გადასვლა ეფექტურ და უსაფრთხო ოპერირების რეჟიმზე. რასაკვირველია, ამ პერიოდში, არაერთი პრობლემის დაძლევა და რთული გადაწყვეტილების მიღება მოგვიხდა, მაგრამ ამ სირთულეებს თავი გავართვით ისე, რომ მუშაობის მაღალ მაჩვენებლებს საფრთხე არ შეჰქმნია.

რა მიგაჩნიათ ყველაზე საამაყო მიღწევად 2007 წელს? განსაკუთრებულ სიამაყეს იწვევს ის ფაქტი, რომ 2007 წელს ჩვენი რთული ობიექტებისა და სისტემების მართვის პროცესში მთელი ქვეყნის მასშტაბით შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების (DAFWC) ნულოვანი მაჩვენებელი აღინიშნა, რაც, ვფიქრობ, ასევე საამაყო უნდა იყოს თითოეული ჩვენი თანამშრომლისათვის. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ უსაფრთხოება თავისით არ მოდის. მართალია, წლის მნიშვნელოვან შედეგებზე სიამაყით ვსაუბრობთ, მაგრამ უსაფრთხოების მიმართ ყურადღება და სიფრთხილე მუდმივად, ყოველდღიურად მოგვეთხოვება.

და რაც კიდევ უფრო სასიამოვნოა – უსაფრთხოების ეს მაჩვენებლები აღინიშნა წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპების მიღწევის პარალელურად, როგორიცაა პირველი კომერციული გაზის მიწოდება სამხრეთ კავკასიური გაზსადენით (SCP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით (BTC) გადაზიდული ნავთობის მოცულობების ზრდა, საქართველოს ტერიტორიაზე BTC ნავთობსადენის მუშაობა 100%-იანი საექსპლუატაციო ეფექტურობით წლის ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში და საქაჩი სადგურების მართვა ადგილობრივი კადრების მიერ – ყველა ეს ნაბიჯი ერთობლივად მნიშვნელოვანი მიღწევაა.

თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს მთავარი სამომავლო ამოცანები? 2007 წელს მიღწეული შედეგების შენარჩუნება თავისთავად უკვე მნიშვნელოვანი ამოცანაა. გარდა ამისა, მოკლევადიან პერსპექტივაში გველის სპეციალური პროექტების დასრულება კოდიანას მონაკვეთზე და დასავლეთის მიმართულების მილსადენის ხელახლა გაშვება ექსპლუატაციაში. მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს უფრო გრძელვადიანი ამოცანებიც, როგორიცაა მუშაობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან და შეძლებისდაგვარად დახმარების გაწევა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ბიზნესისა და პროექტების მართვის, ტექნიკური, უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური მართვის სფეროებში.

ჩვენ ასევე გვიხდება რეაგირება საზოგადოების გაზრდილ მოლოდინზე BP-ის, როგორც საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი უცხოელი ინვესტორის მიმართ, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ მიმართ არსებობს მოლოდინი ქვეყნის ხელისუფლებაში, ასევე არსებობს მოლოდინი და იმედი ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩვენი კომპანიის თანამშრომლებს შორის. ჩვენ ყველა ამ ჯგუფს უნდა დავუგდოთ ყური და განვსაზღვროთ, თუ რა წვლილი შეგვიძლია შევიტანოთ ან რა ზეგავლენა შეგვიძლია მოვახდინოთ ამა თუ იმ სფეროზე. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი ბიზნესის რეპუტაცია უკვე შეგვექმნა და მისი შემდგომი განმტკიცება მომავალში ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მესახება.

რა აზრის ხართ BP-ის საქმიანობის მდგრადობაზე საქართველოში? როგორც მსოფლიო კლასისა და მასშტაბის აქტივების ოპერატორი ნავთობის ინდუსტრიაში, ჩვენ უკვე ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშე ვართ საქართველოს ბიზნეს-გარემოში. ჩვენ მივისწრაფვით ბიზნესის მაღალი მაჩვენებლებისკენ და ყოველმხრივ განწყობილი ვართ ამ ქვეყანაში საქმიანობისათვის კიდევ მრავალი წლის განმავლობაში. ეს ანგარიში ასახავს ჩვენს მიზანსწრაფვას მდგრადი საქმიანობისაკენ, რისთვისაც ვცდილობთ, ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით და, ამასთანავე, თანმიმდევრულად აღვასრულოთ ჩვენი ამოცანები სოციალურ და გარემოს დაცვის სფეროებში. ვიმედოვნებ, რომ ეს ანგარიში ორმხრივად სასარგებლო აღმოჩნდება და ხელს შეუწყობს კომუნიკაციას ჩვენსა და საქართველოში ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულ მხარეებს შორის.

ჰიუ ჯ. მაკდაუელი
BP საქართველოს გენერალური მენეჯერი
მაისი, 2008 წელი

2007 წლის მნიშვნელოვანი ფაქტები

მიღწევები

უსაფრთხოება 2007 წელს საქართველოში ჩვენი საქმიანობის პროცესში ადგილი არ ჰქონია არც ერთ უბედურ შემთხვევას თუ შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილ სამუშაო დღეს (DAFWC). 2006 წელთან შედარებით ნაკლები იყო აღრიცხვადი ტრავმებისა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სიხშირის მაჩვენებელი. ჩვენ ვამაყობთ ამ მიღწევებით, მაგრამ უსაფრთხოების მაჩვენებლები მოუდუნებელ ყურადღებას საჭიროებს *(გვერდი 6-7)*.

კადრების ნაციონალიზაცია კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს მოქალაქეების თანაფარდობა ჩვენი თანამშრომლების საერთო რაოდენობასთან, რადგან ოპერირების ყოველდღიურ რეჟიმზე გადასვლასთან ერთად სულ უფრო მეტი ადგილობრივი კადრი იკავებს კომპანიაში სხადასხვა თანამდებობას *(გვერდი 9-11)*.

ექსპლუატაციის ეფექტურობა 2007 წელს, ანუ ექსპლუატაციის პირველი სრული წლის განმავლობაში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის წარმადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბოლო ოთხ თვეში ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთის ექსპლუატაციის ეფექტურობის მაჩვენებელმა 100%-ს მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ქვეყნის გავლით ნავთობის ტრანსპორტირება საწარმოო დანაკარგების გარეშე განხორციელდა *(გვერდი 4)*.

ჩვენი სოციალური პროგრამები გასულ წლებში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამისა და რეგიონული განვითარების ინიციატივის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დავაფინანსეთ პროექტები მეწარმეობის განვითარებისა და განათლების სფეროებში *(გვერდები 13-17)*.

ამოცანები

სარემონტო სამუშაოები დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე (WREP) დასავლეთის მიმართულების მილსადენისა და მასთან დაკავშირებული ობიექტების ტექნიკური მთლიანობის შესანარჩუნებლად 2007 წელს მილსადენის ექსპლუატაცია შეჩერებული იყო. განხორციელდა აუცილებელი სარემონტო სამუშაოები და შეიცვალა მილსადენის მარშრუტი ერთ უბანზე, სადაც ჩვენმა ანალიზმა მეწყრის საფრთხე გამოავლინა *(გვერდი 4)*.

გაზის მიწოდება კასპიის ზღვის აუზში მდებარე შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის მოპოვების პროცესის დასაწყისში წარმოქმნილი შეფერხების გამო საქართველოსთვის კომერციული გაზის მიწოდება დაგეგმილზე გვიან დაიწყო, თუმცა 2007 წლის მარტიდან ქართულ მხარეს გაზის კონტრაქტით გათვალისწინებული მოცულობები მიეწოდება *(გვერდი 4)*.

სპეციალური პროექტების სამუშაოების გაჭიანურება ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობები, შეფერხება საჭირო ნებართვების მოპოვების პროცესში, კონტრაქტორების რესურსებთან დაკავშირებული სირთულეები და სხვა ფაქტორები გახდა იმის მიზეზი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთზე სპეციალური პროექტებით გათვალისწინებულ სამუშაოებში აღინიშნა ჩამორჩენა ჩვენს შიდა გრაფიკთან შედარებით. ამ სამუშაოების დასრულება 2008 წელს იგეგმება *(გვერდები 4-5)*.

კონტრაქტორის კვალიფიკაციის ამაღლება ჩვენთვის კვლავ აქტუალური რჩება ადგილობრივი კომპანიების შესაძლებლობათა განვითარების საკითხი და გვსურს, ჩვენმა ადგილობრივმა კონტრაქტორებმა მიაღწიონ პროფესიონალიზმის იმ დონეს, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს საწარმოო უსაფრთხოების, პერსონალის მართვისა და გარემოს დაცვის სფეროებში *(გვერდი 10)*.

1

BP-ის თანამშრომლები პირველ საქაჩ სადგურზე გარდაბანში

საქმიანობა პასუხისმგებლობით

1.1 BP საქართველოში
1.2 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა
1.3 ეკოლოგიურად უსაფრთხო საქმიანობა
1.4 დიალოგი და თანამშრომლობა
1.5 სამუშაო მაჩვენებლები და კომენტარი

პასუხისმგებლობა ჩვენი საქმიანობის ამოსავალი პრინციპია. ამიტომაც მოგვეთხოვება, რომ თანმიმდევრულად ვიხელმძღვანელოთ მაღალი სტანდარტებით ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, მათ შორის, საწარმოო უსაფრთხოების, აღჭურვილობის ტექნიკური მთლიანობის დაცვის, ბუნებრივ გარემოზე ზრუნვის სფეროებში, ასევე ჩვენი საქმიანობის ზემოქმედების არეალში მოქცეული საზოგადოების ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებისას.

ანგარიშის ეს ნაწილი მიმოიხილავს ჩვენს კომერციულ საქმიანობას საქართველოში და აღწერს ჩვენს მისწრაფებას პასუხისმგებლობით მოქმედებისკენ.

1.1 BP საქართველოში

საქმიანობის უფლების შესანარჩუნებლად მუდმივად მივისწრაფით, რომ ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით. ობიექტების რაციონალურ და უსაფრთხო ექსპლუატაციასთან ერთად ეს მიდგომა გულისხმობს ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ სხვადასხვა სახის ზემოქმედებათა გათვალისწინებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბუნებრივი გარემო და კულტურული მემკვიდრეობა, ადგილობრივი ეკონომიკური პოტენციალი, ჩვენი საქმიანობის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი ადამიანებისა და მოსახლეობის ჯგუფების უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენი ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლუატაციის პირველ სრულ წელს მისი ექსპლუატაციის ეფექტურობა გაიზარდა. ნავთობსადენის ეფექტურობის კოეფიციენტმა, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის უდანაკარგო და შეუფერხებელი გადაზიდვის მაჩვენებელმა, 2007 წლის ბოლო ოთხ თვეში 100%-ს მიაღწია.

წლის განმავლობაში ნავთობსადენში გამავალი ნავთობის წარმადობის სტაბილური ზრდა აღინიშნა და მსოფლიო ბაზრებზე მიწოდებული ნავთობის მოცულობამ დღეში მიახლოებით 600000 ბარელს მიაღწია. ნავთობის წარმადობა განაგრძობს ზრდას ნავთობსადენის ახლანდელ საპროექტო სიმძლავრემდე, ანუ დღეში ერთ მილიონ ბარელამდე. 2007 წელს ნავთობსადენის საბოლოო პუნქტში — თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალში ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობით 255 ტანკერი დაიტვირთა.

სამხრეთ კავკასიური გაზსადენი სამხრეთ კავკასიური გაზსადენი 2006 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, ხოლო საქართველოში მომხმარებელმა პირველი კომერციული გაზი 2007 წლის იანვარში მიიღო. კასპიის ზღვის აუზში მდებარე შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის მოპოვების საწყის ეტაპზე მომხდარი შეფერხების გამო საქართველოსთვის კომერციული გაზის მიწოდება მოსალოდნელზე გვიან დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ საქართველო მოთხოვნისამებრ იღებს კონტრაქტით დადგენილ მოცულობებს. სამხრეთ კავკასიური გაზსადენით საქართველოსთვის გაზის მიწოდება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი 2007 წელს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე გაგრძელდა სარემონტო სამუშაოები, რასაც წინ უძღოდა 2005 და 2006 წლებში ჩატარებული გეგმიური ტექმომსახურებისა და რისკების შეფასების სამუშაოები მილსადენის ტრასის ზოგიერთ მეწყერსაშიშ უბანზე.

მილსადენის უსაფრთხოების მიზნით მივიღეთ გადაწყვეტილება პროფილაქტიკური ღონისძიების სახით ბაქო–სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციის შეჩერების შესახებ. ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე გამოვლენილი მეწყერსაშიში უბნის გვერდის ასაქცევად შეიცვალა ნავთობსადენის 1,1 კმ სიგრძის მონაკვეთის მიმართულება. ნავთობსადენის ექსპლუატაციის განახლება 2008 წელს იგეგმება.

კოდიანას სპეციალური პროექტები წინსვლა აღინიშნა BTC/SCP მილსადენების კოდიანას მონაკვეთისთვის განკუთვნილი „სპეციალური პროექტებით“ გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობაში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით შენდება.

დავასრულეთ უსაფრთხოების ბაზის მშენებლობის პირველი ეტაპი და საცხოვრებელი კომპლექსი გადავეცით მთავრობის სტრატეგიული მილსადენების დაცვის სამმართველოს (SPPD).

ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისგან მივიღეთ აუცილებელი ნებართვები და მოვიპოვეთ უფლებები მიწის საჭირო ნაკვეთებზე. ნებართვების მიღებამ საშუალება მოგვცა, რომ სამშენებლო სამუშაოები დაგვეწყო მეორად შემაკავებელ ობიექტებზე (ჯებირებით და საკეტებით აღჭურვილი შემაკავებელი აუზები, რომლებმაც ნავთობსადენის დაზიანების ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაში ნავთობის ეფექტური შეკავება უნდა უზრუნველყონ) და ნავთობის ავარიულ ჩამოსაცლელ რეზერვუარზე (8500 $მ^3$ მოცულობის ფოლადის რეზერვუარი, რომელიც ბეტონის მიწისქვეშა მეორად გარსაცმშია ჩასმული და BTC ნავთობსადენის კოდიანას მონაკვეთის ნებისმიერ წერტილში მომხდარი ავარიის შემთხვევაში ნავთობის ჩამოსაცლელად და შესანახად არის გამიზნული). დავასრულეთ უსაფრთხოების ბაზის მშენებლობის პირველი ეტაპი და საცხოვრებელი კომპლექსი გადავეცით მთავრობის სტრატეგიული მილსადენების დაცვის სამმართველოს (SPPD).

მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტების მიმდინარეობას სხვადასხვა დროს ხელს უშლიდა ზამთრის ნაადრევად დადგომა და თოვლიანობის გახანგრძლივებული სეზონი, სირთულეები ნებართვების მოპოვების პროცესში და კონტრაქტორების არასაკმარისი რესურსებით გამოწვეული შეფერხებები, ჩვენ ამ სამუშაოების დასრულებას 2008 წელს ვგეგმავთ.

გარდა ამისა, შევაკეთეთ მილსადენების მშენებლობის პერიოდში გამოყენებული ადგილობრივი გზები და ხიდები, გავიყვანეთ BTC/SCP მილსადენების სარქველების სადგურებამდე მისასვლელი ახალი მუდმივი სარგებლობის გზები. გაგრძელდა მილსადენების სამშენებლო დერეფნის აღდგენა, რისთვისაც დაირგო დაახლოებით 175000 ნერგი და დაითესა ბალახი, ასევე დაიწყო ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები.

Air BP 2007 წელს Air BP აგრძელებდა კლიენტების მომსახურებას თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. წლის განმავლობაში კომპანიის მუშაობაში არ აღრიცხულა არცერთი შრომის უნარის დაკარგვის მიზეზით გაცდენილი სამუშაო დღე ან საწარმოო ტრავმის შემთხვევა.

უშიშროება და რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე 2007 წელს ვაგრძელებდით მუშაობას საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პოტენციალის ამაღლებაზე და ამ მიზნით ჩავატარეთ რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული საწვრთნელი მეცადინეობა, ხოლო ჩვენი უშიშროების გუნდი განაგრძობდა მუშაობას იმ გეგმების, პროცედურებისა და სისტემების დახვეწაზე, რომლებსაც ჩვენი ობიექტების, თანამშრომლებისა და ინფორმაციის დასაცავად ვიყენებთ.

გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ განაგრძო მილსადენებიდან ნავთობის დატაცების ფაქტების აღსაკვეთად უფრო ქმედით ღონისძიებების გატარება და დახურა უკანონო გადამამუშავებელი საწარმოები, გაუქმა ლიცენზიები, გააძლიერა სისხლის სამართლის დანაშაულთან ბრძოლის ღონისძიებები და მსგავსი უკანონო ქმედებების მიმართ სრული შეურიგებლობის პოლიტიკა გაატარა.

2007 წელს საქართველოში ერთ ბარელზე მეტი მოცულობის ნავთობის დაღვრის ორი განსხვავებული ხასიათის ინციდენტი აღინიშნა. 2007 წლის აპრილში მომხდარი მცირე ინციდენტის შედეგად ოფისის ეზოს ტერიტორიაზე ორ ბარელზე ნაკლები მოცულობის დიზელის საწვავი გაიჟონა მეორად დამცავ გარსაცმში. გაჟონვის ფაქტის აღმოჩენის დღესვე დიზელის დაღვრილი მოცულობის შეკრებისა და აწმენდის ყველა ოპერაცია სრულად განხორციელდა. მეორე უფრო სერიოზული ინციდენტი უკავშირდება 2007 წლის დეკემბერში დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენზე აღმოჩენილ უკანონო მიერთებას, ანუ ნავთობსადენიდან ნავთობის გადაქაჩვის მცდელობას, რის შედეგადაც ნავთობსადენიდან დაახლოებით 472 ბარელი ნავთობი დაიღვარა. ჩვენი ინციდენტის მართვის ჯგუფის ოპერატიული რეაგირებით მოხერხდა დაღვრილი პროდუქტის ერთი მესამედის პირდაპირი აღება, ხოლო დანარჩენის გაუვნებელყოფისათვის ჩატარდა მიწის გაწმენდის ფართომასშტაბიანი სამუშაოები.

უშიშროება და ადამიანის უფლებები უშიშროებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ნაკისრი ვადებულებების შესრულების შესაფასებლად მოვიწვიეთ აშშ-ის იურიდიული ფირმა Foley Hoag LLP, რომლის ანგარიში 2007 წლის მაისში გამოქვეყნდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ჩვენი საქმიანობისას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები არ მომხდარა, თუმცა იქვე დასახელებულია რამდენიმე სფერო, რომლებიც ჩვენი მხრიდან მეტ ყურადღებას მოითხოვს, რასაც უკვე მოჰყვა ჩვენი საპასუხო ქმედებები. მაგალითად, 2007 წელს უშიშროების კერძო კონტრაქტორი კომპანიის თანამშრომლებს ჩვენი ინიციატივით ჩაუტარდათ სწავლება ადამიანის ძირითადი უფლებების სფეროში, „უშიშროებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპებით“ გათვალისწინებულ საკითხებში, კომუნიკაციის უნარ-ჩვევებსა და ძალის გამოყენების წესებში.

ფინანსური და ეკონომიკური ეფექტი საქართველოში ჩვენს საქმიანობას მნიშვნელოვანი ფინანსური და ეკონომიკური ეფექტი ახლავს. 2007 წლის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 7% BP-ისა და მისი პარტნიორების ანგარიშზეა. გადასახადებისა და ტრანზიტის საფასურის გადახდით მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2007 წელს ბიუჯეტში არ შესულა ტარიფის თანხა დასავლეთის მიმართულების მილსადენიდან, რადგან მილსადენი გაჩერებული იყო პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების გამო, თუმცა 2007 წელს BTC-ის ყველა აქციონერის მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადაზიდული ნავთობის მოცულობების მიხედვით გადახდილმა მოგების გადასახადმა 25,4 მილიონი დოლარი შეადგინა მაშინ, როცა იგივე მაჩვენებელი 2006 წელს მხოლოდ 7,8 მილიონი დოლარი იყო.

2006 წელს BTC და SCP მილსადენების მშენებლობის დასრულების გამო 2007 წელს საქართველოში ჩვენი კაპიტალური დაბანდებების მაჩვენებელმა იკლო. 2003-2004 წლებში BTC და SCP მილსადენების მშენებლობის დაწყებიდან 2006 წელს მათ დასრულებამდე ჩვენ მიერ განხორციელებულმა კაპიტალურმა დაბანდებამ ჯამში 978 მილიონი დოლარი შეადგინა BTC-ზე და 615 მილიონი დოლარი – SCP-ზე. 2007 წელს BTC/SCP-ზე და WREP-ზე გაწეული საოპერაციო ხარჯები 111,6 მილიონი დოლარი იყო, ხოლო 2006 წელს იმავე მაჩვენებელმა მხოლოდ 72,1 მილიონი დოლარი შეადგინა.

თანამშრომლობა ადგილობრივ კონტრაქტორებთან მშენებლობიდან ექსპლუატაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად სულ უფრო მეტ ადგილობრივ კომპანიასთან ვთანამშრომლობთ. მაგალითად, ნავთობის ჩამოსაცლელ ობიექტზე ძირითად კონტრაქტორთან - თურქულ კომპანიასთან ერთად სამუშაოების დიდი ნაწილი ქართულმა სამშენებლო-საინჟინრო კომპანიამ შეასრულა. კიდევ ოთხი ქართული კომპანია იყო დასაქმებული გზების, ხიდების, უსაფრთხოების ბაზისა და სხვა დამხმარე ობიექტების მშენებლობაზე. ჩვენ მიერ 2007 წელს ადგილობრივი კომპანიებისთვის გადახდილმა თანხამ 79,4 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო 2006 წელს ეს თანხა 86,8 მილიონი დოლარი იყო.

1.2 ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა

როგორც კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი – ტონი ჰეივორდი აღნიშნავს, „უსაფრთხო და საიმედო მუშაობა დღესდღეობით BP-ის ნომერ პირველი პრიორიტეტია და ასეთად დარჩება, ვიდრე მე BP-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ვარ“. ჩვენთან მომუშავე და ჩვენი საქმიანობის გავლენის სფეროში მოქცეული ადამიანების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა საწარმოო პროცესების უსაფრთხოებაზე გამუდმებულ ზრუნვას მოითხოვს. აქტიურად ვაგრძელებთ მუშაობას უსაფრთხოების კულტურის ამაღლებაზე, განსაკუთრებით ჩვენი კონტრაქტორების თანამშრომელთა შორის.

უსაფრთხოების მაჩვენებლები 2007 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენი საქმიანობა შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღის (DAFWC) გარეშე წარიმართა.

ჩვენი აზრით, ეს მიღწევა რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა, რომელთა შორისაა ხელმძღვანელობის დადებითი როლი უსაფრთხოების სფეროში, მიზანმიმართული ძალისხმევა მთავარი რისკების დასარეგულირებლად, ტრენინგების ვრცელი პროგრამა და ადგილობრივ პირობებში მუშაობის მეტი გამოცდილება. გარდა ამისა, შეიცვალა შესასრულებელი სამუშაოების მასშტაბი და ადგილმდებარეობა – ჩვენმა საქმიანობამ მრავალრიცხოვანი სამშენებლო მოედნებიდან შედარებით მცირერიცხოვან და კომპაქტურ სამშენებლო ობიექტებზე გადაინაცვლა. შედეგად, შემცირდა ზოგიერთი მაღალი რისკის შემცველი საქმიანობის, მაგალითად, რთული რელიეფის პირობებში ავტოტრანსპორტით გადაადგილების სიხშირე. თუმცა, უსაფრთხოების რისკი ნებისმიერ სამუშაოს ახლავს და ამიტომ ჩვენ არ ვასუსტებთ ყურადღებას უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების მიმართ.

ხელმძღვანელობის როლი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩვენი ხელმძღვანელობა და მაკონტროლებელი კადრები ლიდერების როლში გვევლინებოდნენ, რათა ხაზი გაესვათ უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობისთვის. ხელმძღვანელები სისტემატურად ჩადიოდნენ ობიექტებზე, სადაც ინსტრუქტაჟს უტარებდნენ ოპერატორებსა და კონტრაქტორების პერსონალს. უსაფრთხოების ხელმძღვანელი პირების რეგულარულმა თათბირებმა BP-ის მენეჯერებისა და კონტრაქტორების წარმომადგენელთა მონაწილეობით წარმოების სხვადასხვა რგოლებს შორის გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა მოგვცა და ხელი შეუწყო უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის უკეთ მართვას. ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა უსაფრთხო საქმიანობის განსაკუთრებული მნიშვნელობის წარმოჩენას.

ვზრუნავთ როგორც ჩვენი პერსონალის ჯანმრთელობის დაცვაზე მათი ყოველდღიური საქმიანობისას, ასევე ჩვენს სათანადო მზადყოფნაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის.

ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში გატარებული აქტიური ღონისძიებების შედეგად ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობამ 2006 წელს აღრიცხული 33-დან 5-მდე იკლო.

ავტოტრანსპორტის მართვის უსაფრთხოება

2007 წელს კვლავ მნიშვნელოვანი იყო ავტროტრანსპორტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და თანმიმდევრულად სრულდებოდა BP-ის ავტოტრანსპორტის უსაფრთხო მართვის სტანდარტი, რომელიც აწესებს მინიმალურ მოთხოვნებს კომპანიის სატრანსპორტო საშუალებების გამართულობის მხრივ. კონტრაქტის პირობებში ასახვით ამ სტანდარტის მოთხოვნები ისევე გავავრცელეთ კონტრაქტორებზე, როგორც ჩვენს ოპერაციებზე. მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს გავლილი კილომეტრების რაოდენობა წინა წელთან შედარებით თითქმის სამჯერ შემცირდა, ამ მაჩვენებელმა მაინც 10 მილიონ კილომეტრს მიაღწია, ხოლო ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობამ 2006 წელს აღრიცხული 33-დან ხუთამდე იკლო. მიგვაჩნია, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევების სიხშირის მკვეთრი კლება ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში გატარებული აქტიური ღონისძიებების, მათ შორის – ზამთრის პირობებში მართვის უნარ-ჩვევების კურსების, სისტემატური სიჩქარის კონტროლისა და ალკოჰოლის მოხმარებაზე შემოწმებების დამსახურებაა.

2007 წელს პროექტებისა და ექსპლუატაციის პერსონალისთვის ჩატარებული უსაფრთხოების ტრენინგების პროგრამა შედგებოდა შემდეგი ტექნიკური კურსებისგან: სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებთან ურთიერთობა, მუშაობის უსაფრთხო სისტემები და ინციდენტების დარეგულირება, აგრეთვე აშშ-ის ხანძრისაგან დაცვის ეროვნული ასოციაციის სტანდარტის შესაბამისი წვრთნა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში.

ტრენინგები 2007 წელს პროექტებისა და ექსპლუატაციის პერსონალისთვის ჩატარებული უსაფრთხოების ტრენინგების პროგრამა შედგებოდა შემდეგი ტექნიკური კურსებისგან: სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებთან ურთიერთობა, მუშაობის უსაფრთხო სისტემები და ინციდენტების დარეგულირება, აგრეთვე აშშ-ის ხანძრისაგან დაცვის ეროვნული ასოციაციის სტანდარტის შესაბამისი წვრთნა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში. ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე უსაფრთხო ქცევის საკითხებზე, კერძოდ, დავნერგეთ უსაფრთხოების ტრენინგების ახალი პროგრამა სახელწოდებით „დაკვირვება უსაფრთხო ქცევაზე და გასაუბრება“ (SOC), რომელიც დღემდე უფრო აქცენტირებულ თანამშრომელთა ინდივიდუალურ უსაფრთხოებასთან ერთად ყურადღებას ამახვილებს საწარმოო პროცესების უსაფრთხოებაზე.

2007 წელს საქართველოში ამოქმედდა ტრენინგებისა და შეფასებების ახალი სისტემა – კომპეტენტურობის მართვის შეფასების სისტემა (CMAS). CMAS წარმოადგენს ოპერატორების კომპეტენტურობის შესამოწმებელ სისტემურ მიდგომას, რომელიც სტანდარტებსა და კვალიფიციურ შემფასებლებს ეყრდნობა. სისტემის მიზანია შეამოწმოს, თუ რამდენად შეუძლია ჩვენს მოქმედ ობიექტებზე დასაქმებულ თითოეულ ადამიანს საკუთარი ფუნქციების შესრულება მინიმალური კონტროლით. შევასრულეთ ტექნიკური კომპეტენტურობის შეფასების შიდა გეგმა და ვაგრძელებთ მუშაობას ექსპლუატაციის სფეროს ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციის ამაღლების გეგმებზე.

პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა

ვზრუნავთ როგორც ჩვენი პერსონალის ჯანმრთელობის დაცვაზე მათი ყოველდღიური საქმიანობისას, ასევე ჩვენს სათანადო მზადყოფნაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებსა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის.

2007 წელს შევაფასეთ ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები, რაც მიზნად ისახავდა მიმდინარე რისკების გამოვლენას და პერსონალის დაცვის ღონისძიებათა პროგრამისა და სახელმძღვანელო პრონციპების შემუშავებას. ჩატარდა ტრენინგები საკვების უვნებლობის, ორგანიზმის გადაციებისა და გაყინვის, გადაუდებელი რეანიმაციისა და პირველადი დახმარების საკითხებში, აგრეთვე წინასწარი სამედიცინო შემოწმებები ჩაუტარდათ სამუშაოზე მიღების კანდიდატებს. გარდა ამისა, შევიმუშავეთ რეაგირების ღონისძიებები ჯანმრთელობის ძნელად პროგნოზირებად რისკებზე. ამისათვის გამოვეცით BP საქართველოს საგანგებო სამედიცინო შემთხვევებზე რეაგირების ზოგადი გეგმა და ჩავატარეთ საგანგებო სამედიცინო შემთხვევებზე რეაგირების საწვრთნელი ღონისძიებები.

რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე

რისკების მართვის სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარი – იქნება ეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უშიშროებისა თუ გარემოს დაცვის სფეროებში, ხოლო ამ უნარის შენარჩუნებისთვის უმთავრესია ვარჯიში და მომზადება. 2007 წელს ჩატარდა საგანგებო სიტუაციებში გასატარებელ ღონისძიებათა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები. გადაისინჯა ჩვენი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების აღჭურვილობის განახლების სტრატეგია. მოვამზადეთ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ორი გეგმა – BTC ნავთობსადენის საქართველოში მდებარე ორი ნავთობსაქაჩი სადგურისა და ახალციხის ბანაკისთვის. განვაახლეთ ქვეყნის დახმარების გეგმა, რომელიც განსაზღვრავს BP საქართველოს ხელმძღვანელი გუნდის როლს საგანგებო სიტუაციებში და ურთიერთობას ჩვენს თბილისში ბაზირებულ ინციდენტის მართვის ჯგუფსა და მათ აზერბაიჯანელ კოლეგებს შორის.

2007 წელს რვაჯერ მოხდა ინციდენტის მართვის ჯგუფის მობილიზაცია. თითოეული ინციდენტის ამოწურვის შემდეგ გამართულ დასკვნით შეხვედრაზე მოხდა მიღებული პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება.

1.3 ეკოლოგიურად უსაფრთხო საქმიანობა

2007 წელს BTC-ის კრედიტორი ორგანიზაციების სახელით მოქმედმა დამოუკიდებელმა გარემოსდაცვითმა კონსულტანტმა გასცა სამუშაოთა დასრულების სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმებით ნაკისრი ვალდებულებები და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნები შესრულებულია ყველა არსებით ნაწილში. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი ვალდებულებები მიღწეულით არ შემოიფარგლება და ვაგრძელებთ მუშაობას გარემოზე ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებათა ეფექტური მართვისთვის.

ემისიების კონტროლი კვლავ ვცდილობთ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ემისიების მოცულობათა შემცირებას. 2007 წელს წინა წელთან შედარებით ატმოსფერული გაფრქვევების ზოგიერთი ელემენტის, მათ შორის CO_2-ის მოცულობა გაიზარდა, ხოლო სხვა სახის ემისიები, მაგალითად, მეთანისა და გოგირდის ორჟანგის (SO_2) ემისიები შემცირდა. დეტალური მონაცემები და კომენტარი მათზე ამ ანგარიშის 1.5 თავში არის მოცემული.

ISO 14001 სერტიფიკატის მიღების პროცესი 2007 წელს გადაიდგა ნაბიჯები საერთაშორისო ეკოლოგიური მართვის სისტემის სტანდარტის – ISO 14001-ის სერტიფიკატის მოსაპოვებლად BTC/SCP მილსადენებისა და მათთან დაკავშირებული ობიექტებისათვის. ამჟამად ინტენსიურად ვმუშაობთ წინასასერტიფიკატო აუდიტით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესასრულებლად და სერტიფიკატის მოპოვებას 2008 წელს ვაპირებთ.

ნარჩენების მართვა 2007 წელს მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა ჩვენი შიდა ვალდებულების შესრულების მხრივ, რომელიც უკავშირდება BTC მილსადენსა და მის დამხმარე ობიექტებზე ნარჩენების მართვის პრაქტიკის მიახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან.

ქ. რუსთავთან ახლოს შევისყიდეთ ტერიტორია, რომელზეც ვეგეგმავთ ხანგრძლივ ექსპლუატაციაზე გათვლილი ნაგავსაყრელის მშენებლობას, რომელზეც ჩვენი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ არასახიფათო ნარჩენს განვთავსებთ. ღია ტენდერით გამოვლენილ უცხოურ საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანიასთან გავაფორმეთ კონტრაქტი მომავალი ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გეგმების მოსამზადებლად. უკვე დაწყებულია ნებართვების მოპოვების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და პროექტირების სამუშაოები. ჩვენი გეგმით, ობიექტის მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება 2008 წელს უნდა დასრულდეს. გარდა ამისა, ავიღეთ ვალდებულება, რომ დავეხმარებით ადგილობრივ ხელისუფლებას BP-ის ნაგავსაყრელის მომიჯნავედ მუნიციპალური ნაგავსაყრელის მოწყობაში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მოემსახურება.

სახიფათო ნარჩენების ექსპორტირებისათვის შევარჩიეთ საერთაშორისო კონტრაქტორი, ვინაიდან საქართველოში არ არსებობს ევროკავშირის სტანდარტებით აგებული ნაგავსაყრელი. 2008 წლის დასაწყისში განხორციელდა ნარჩენების პირველი პარტიის ექსპორტი, რომელიც გერმანიასა და ნიდერლანდების სამეფოში მდებარე ობიექტებზე განთავსდა.

მიწის საფარის აღდგენა და ბიომრავალფეროვნების დაცვა წლის განმავლობაში ვატარებდით მიწის საფარის აღდგენის სამუშაოებს BTC/SCP მილსადენების სამშენებლო დერეფანში და დამხმარე ობიექტებზე, რაც მოიცავდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენისა და მცენარეული საფარის აღდგენას უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, ასევე მცენარეული საფარის ზრდის პროცესისა და სახეობათა მრავალფეროვნების მონიტორინგს. ყოველგვარი ოფიციალური ვალდებულების გარეშე წამოვიწყეთ მონიტორინგის პროგრამა, რომელიც გულისხმობს ფოტოგრაფიულ დაკვირვებას სპეციალურად შერჩეულ ფართობებზე ბუნებრივი ლანდშაფტის აღდგენის პროცესის მიმდინარეობაზე მაღალი გარჩევის სატელიტური გამოსახულების გამოყენებით. ბუნებრივი ჰაბიტატების აღდგენის პროექტები განხორციელდა აგრეთვე ბაქო-სუფსის ნავთობსადენით გადაკვეთილ ტერიტორიებზე.

2007 წელს ჩვენი და პარტნიორების მხარდაჭერით ჩატარდა რიგით მეექვსე ყოველწლიური ბიომრავალფეროვნების კონკურსი. კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოდგენილი იყო 38 პროექტი, რომელთა შეფასების საფუძველზე პრიზები გაიცა საუკეთესო პროექტისა და ეკოლოგიის სფეროს ჟურნალისტურ გაშუქებაში შეტანილი წვლილისათვის. ვაგრძელებთ მილსადენების მშენებლობის პერიოდში დაწყებული ბიომრავალფეროვნების პროექტების მხარდაჭერას.

მიწის გაწმენდა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მიწაზე შესვლის კანონიერი უფლებების ხელახლა მოპოვებამ საშუალება მოგვცა, დაგვესრულებინა ნავთობის დაღვრის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები ნიადაგსა და ზედაპირულ და გრუნტის წყლებზე იმ ტერიტორიაზე, სადაც 2002 წელს ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე უკანონოდ მიერთებული მილიდან დაიღვარა ნავთობი.

1.4 დიალოგი და თანამშრომლობა

საქართველოში ჩვენი საქმიანობისას ხშირი ურთიერთობა გვიწევს მთავრობასთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, კონტრაქტორებსა და ბიზნეს-პარტნიორებთან. ვცდილობთ, რომ ეს ურთიერთობა და დიალოგი ორმხრივად სასარგებლო იყოს. ამავე დროს, ბუნებრივია, ვცდილობთ, ჩამოვაყალიბოთ ღია და კეთილგანწყობილი ურთიერთობა საკუთარ თანამშრომლებთან და შევქმნათ ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე აგებული სამუშაო ატმოსფერო.

ურთიერთობა მთავრობასთან ჩვენი შეუფერხებელი მუშაობისა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიმდინარე საკითხის მოსაგვარებლად, მათ შორის, ნებართვების მოსაპოვებლად, გვესაჭიროება მუდმივი კონტაქტი ხელისუფლების ორგანოებთან.

კვლავ ვაწყდებით სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დაბრკოლებებს სახელმწიფო მიწაზე ჩვენი უფლებების რეგისტრაციის საკითხში. სახელმწიფო მიწის ნაკვეთებს შეიძლება შეეხოს პრივატიზაციის პროცესი, რაც რამდენიმე შემთხვევაში უკვე მოხდა, მათ შორის იმ მიწის ფართობებთან მიმართებით, რომლებიც უკვე შესყიდული გვქონდა. შეფერხებები აღინიშნა ნებართვების გაცემის პროცესშიც, რაც შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარებისა და მოქმედი ადმინისტრაციული პროცედურების დახვეწის საჭიროებას წარმოაჩენს.

სირთულეების მიუხედავად, აღსანიშნავია მთავრობასთან კონსტრუქციული და ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის პრაქტიკაც. ამის მაგალითია 2004 წელს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „უშიშროების ოქმით“ გათვალისწინებული უშიშროების სფეროში წვრთნების მიმდინარე პროგრამა სტრატეგიული მილსადენების დაცვის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისათვის და მორიგი დაფინანსების გამოყოფა მათი აღჭურვისათვის არალეტალური იარაღით, რაც ამავე ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

შესაძლებლობათა განვითარება
„მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივამ“ (PMDI), რომლის ფარგლებში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელმა 36 ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა ჩვენი საქმიანობის სხვადასხვა სფეროს აუდიტში 2006 წელს, შექმნა ნიადაგი არასამთავრობო ორგანიზაციების შემდგომი ინფორმირებისათვის ჩვენი საქმიანობის შესახებ. 2007 წელს მრგვალი მაგიდის ირგვლივ დისკუსიაზე მოვიწვიეთ PMDI-ს მონაწილეები და გავაცანით სიახლეები ჩვენს საქმიანობაში და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აისახა მათი რეკომენდაციები ჩვენს მუშაობაში.

შეძლებისდაგვარად გამოვხატავთ მხარდაჭერას სხვა ორგანიზაციების ინიციატივების მიმართ, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში გამჭვირვალობის კულტურის დამკვიდრებას უწყობენ ხელს. მაგალითად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2007 წელს გამოაქვეყნა ანგარიშები ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობისთვის გაცემული გრანტების ათვისების, ასევე პროექტის მიერ მიწაზე უფლებების მოპოვებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებში. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ამ ანგარიშების ირგვლივ გამართულ დისკუსიებში.

გავაგრძელეთ „ბრიტანეთის საბჭოს“ მიერ ჩატარებული ინგლისური ენის კურსების დაფინანსება 27 ჟურნალისტისთვის.

2007 წლის თებერვალში BP-ის 400 ათასი დოლარის ოდენობის დაფინანსებითა და ბიზნესისა და პარლამენტის საერთაშორისო ასოციაციის თანადგომით საქართველოს პარლამენტში ბიზნესისა და ეკონომიკის ახალი კვლევითი ცენტრი გაიხსნა.

BP საქართველოს თანამშრომლები

	2004	2005	2006	**2007**
საქართველოს მოქალაქეები	389	398	492	**499**
BP-ის თანამშრომლები	228	271	274	**280**
კონტრაქტორები	161	127	218	**219**
უცხოეთის მოქალაქეები	142	138	162	**92**
BP-ის თანამშრომლები	37	38	26	**26**
კონტრაქტორები	105	100	136	**66**
სულ თანამშრომელთა რაოდენობა	**531**	**536**	**654**	**591**

კონტრაქტორების კვალიფიკაციის ამაღლება

ჩვენ ვზრუნავთ ადგილობრივი კონტრაქტორების პოტენციალისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ვეხმარებით ჩვენ მიერ წაყენებული მაღალი სტანდარტების მოთხოვნების შესრულებაში. კონტრაქტორების კვალიფიკაციის ამაღლება იმ გეგმის ნაწილია, რომელიც ჩვენს ადგილობრივ ენერგოკომპანიად გადაქცევას ისახავს მიზნად.

კონტრაქტორების მიმართ წაყენებული უმთავრესი მოთხოვნა უსაფრთხოების ეფექტური წესების დაცვაა. ჩვენი კომპანიის უსაფრთხოების სფეროს ხელმძღვანელთა მონაწილეობით თვეში ორჯერ გამართულ შეხვედრებზე, რომლებსაც მონაცვლეობით თავმჯდომარეობენ კონტრაქტორი კომპანიების წარმომადგენლები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მუშაობის დროს მომხდარი ინციდენტებისა და პოტენციურად სახიფათო სიტუაციების შედეგად გამოტანილი დასკვნების, აგრეთვე დადებითი გამოცდილების გაზიარებას, რაც სწორი პრაქტიკისა და მიდგომის დანერგვის საწინდარი უნდა გახდეს.

კონტრაქტორის კვალიფიკაციას ვამაღლებთ სხვა სფეროებშიც, მაგალითად, კადრების მართვის სფეროში. ჩვენი ორგანიზებით კონტრაქტორების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემებზე: საქართველოს შრომის კანონმდებლობა, სამუშაოზე აყვანის გამჭვირვალე პროცესი, თანამშრომელთა პრეტენზიების მოგვარება, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. შევამოწმეთ, რამდენად სრულდება კონტრაქტორების მიერ დასაქმებისა და ტრენინგების მართვის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომლებიც დასაქმების პირობებსა და დასაქმებულთა უფლებების დაცვას შეეხება. წარმატებით გავართვით თავი ცვლილებას, რომელიც მეტი ადგილობრივი კონტრაქტორის გამოყენებას გულისხმობდა კოდიანას სპეციალურ პროექტებზე და მივმართეთ ცვლილების მართვის პროცედურას, რომელიც საჭირო იყო კონტრაქტორების მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად შესაბამისი გარემოსდაცვითი და საწარმოო სტანდარტებით მოთხოვნილ დონემდე.

ურთიერთობა მოსახლეობასთან

გრძელდება ჩვენი ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან BTC/SCP მილსადენებისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტების სიახლოვეს მდებარე სოფლებში, რომლებიც ჩვენი საქმიანობით გამოწვეულ გარკვეულ ზემოქმედებას განიცდიან.

ჩვენი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მუდმივ კავშირს ინარჩუნებენ სოფლის თემებთან, ისმენენ ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებებსა და პრობლემებს, აცნობენ მათ კომპანია BP-ს და მის საქმიანობას. 2007 წელს გადაწყდა და დაიხურა მოსახლეობისგან მიღებული საჩივრების უმრავლესობა, რომელთა დიდი ნაწილი მილსადენების მშენებლობის პერიოდში წარმოშობილ პრობლემებს ეხებოდა.

ამ წელს გაგრძელდა მილსადენების მშენებლობის დროს გამოყენებული მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით დაბრუნება თავდაპირველი მფლობელებისთვის.

თანამშრომელთა ჩართულობა

პროექტების მშენებლობის ეტაპიდან ექსპლუატაციის ეტაპზე გარდამავალ პერიოდში გავზარდეთ საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა ჩვენს თანამშრომელთა შორის და ხელი შევუწყეთ ადგილობრივი კადრების პროფესიულ ზრდასა და მომზადებას ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად. მაგალითად, ობიექტების მმართველებისა და ზედამხედველების თანამდებობებზე, რომლებიც აქამდე უცხოლებს ეკავათ, ახლა უკვე საქართველოს მოქალაქეები მუშაობენ.

2007 წელს პერსონალის საერთო რაოდენობა შემცირდა, რაც მილსადენების მშენებლობის დასრულებას უკავშირდება. თუმცა პერსონალის შემადგენლობაში საქართველოს მოქალაქეების პროპორციული თანაფარდობა საგრძნობლად გაიზარდა და 84%-ს მიაღწია.

ჩვენ მივისწრაფით, რომ შევინარჩუნოთ ღია სამუშაო გარემო, სადაც ყველას პატივისცემით და ღირსებით ეპყრობიან. თანამშრომლების ინფორმირება სიახლეების შესახებ ხდება საინფორმაციო ბიულეტენებითა და შეტყობინებებით. თანამშრომელთა მეტი ჩართულობისთვის ვიყენებთ ფოკუს-ჯგუფებს, ვაწყობთ შეხვედრებს და სხვა ღონისძიებებს თანამშრომელთა მონაწილეობით, სადაც ვიხილავთ აქტუალურ საკითებს, ბიზნესის მიმართულებებსა და პრიორიტეტებს.

ჩვენი მისწრაფება გახსნილობისადმი BP-ის ქცევის კოდექსს ეფუძნება. კოდექსი არის გამოხატულება BP-ის ერთგულებისა კეთილსინდისიერი საქმიანობისადმი. მასში ჩამოყალიბებულია ყველა თანამშრომლისთვის სავალდებულო ქცევის ნორმები შემდეგ სფეროებში: ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემოს დაცვა; თანამშრომლები; საქმიანი პარტნიორები; მთავრობები და საზოგადოების ჯგუფები; კომპანიის აქტივები და ფინანსური წესრიგი.

2007 წელს კვლავ ჩავატარეთ ყოველწლიური შიდა სერტიფიცირება. ამ პროცესის ფარგლებში კომპანიის ყველა ქვედანაყოფს მოეთხოვება, რომ შეავსოს ეთიკის სერტიფიკატი და მიუთითოს, თუ რამდენად შეესაბამებოდა მათი საქმიანობა სამართლებრივ ნორმებსა და ქცევის კოდექსის მოთხოვნებს. კვლავ მიმდინარეობდა თანამშრომლებისა და კონტრაქტორების ინფორმირება ჩვენ მიერ გახსნილი დამოუკიდებელი და კონფიდენციალური ცხელი ხაზის – OpenTalk-ის შესახებ, რომელსაც შეუძლიათ, დაუკავშირდნენ კანონების, შიდაკორპორაციული წესების, საქმიანი ეთიკის ნორმებისა და ქცევის კოდექსის შესრულების თემაზე წარმოშობილი კითხვებითა და საჭირბოროტო საკითხებით.

2006 წელს ჩატარდა თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლა (PAS), ანუ თანამშრომელთა აზრის გამოკითხვა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, კერძოდ, თანამშრომლების მიერ ანაზღაურებისა და სამოტივაციო სქემების შესახებ გამოთქმული შენიშვნების გაანალიზების შედეგად, 2007 წელს ადგილობრივი თანამშრომლებისთვის ავამოქმედეთ დანაზოგის დაგროვების გრძელვადიანი სქემა და გავაუმჯობესეთ თანამშრომელთა ჯანრთელობის დაზღვევის პაკეტის პირობები.

ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი საქართველოს პარლამენტში

ქართულ ბიზნესს, პარლამენტსა და მთავრობას შორის გამჭვირვალე დიალოგის მხარდასაჭერად BP-მ 2006 წელს დააფინანსა პროექტი, რომლის ფარგლებში საქართველოს პარლამენტში ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი გაიხსნა. ცენტრი ობიექტურ ანალიტიკურ ინფორმაციას აწვდის პარლამენტის წევრებსა და თანამშრომლებს, ამზადებს კვლევებსა და წინასაკანონმდებლო მიმოხილვებს, პასუხობს წერილობით შეკითხვებს და აწყობს საჯარო განხილვებს. ევროპარლამენტის პრეზიდენტის პატრონაჟის ქვეშ მოქმედი ეს ცენტრი ხელმძღვანელობს პრინციპების კოდექსით, რომელიც მის ობიექტურობას შეუწყობს ხელს. ცენტრი პარლამენტის შენობის განახლებულ ნაწილში განთავსდა. ცენტრის მონაცემებით, პარლამენტართა 20% სისტემატურად სარგებლობს მისი მომსახურებით. BP-მ გამოხატა მზადყოფნა, რომ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ცენტრს მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

1.5 საქმიანობის მაჩვენებლები და კომენტარი

	2004	2005	2006	**2007**
უსაფრთხოება[1]				
BP-ის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევა	0	0	0	**0**
BP-ის კონტრაქტორის დაღუპვის შემთხვევა	1	1	0	**0**
გაცდენილი სამუშაო დღეები (DAFWC)[2]– მუშახელი[3]	12	4	3	**0**
გაცდენილი სამუშაო დღეების სიხშირე (DAFWCf)[4] – მუშახელი	0.12	0.06	0.07	**0**
აღრიცხვადი ტრავმები[5] – მუშახელი	105	30	5	**1**
აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე (RIF)[6] – მუშახელი	1.06	0.41	0.12	**0.04**
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო რაოდენობა	69	35	33	**5**
ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე[7]	3.76	1.30	2.06	**0.49**
ნამუშევარი დრო – მუშახელი	19,776,554	14,527,840	8,158,739	**4,459,899**
გავლილი კილომეტრები	18,335,771	26,844,882*	15,999,715	**10,101,030**

შენიშვნები:

2007 წელს არ ყოფილა პერსონალის დაღუპვის ან შრომის უნარის დაკარგვის გამო სამუშაო დღის გაცდენის არც ერთი შემთხვევა, რითაც გაუმჯობესდა აღრიცხვადი ტრამვების სიხშირის მაჩვენებელი. ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის საგრძნობი შემცირება ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირის გაუმჯობესებული მაჩვენებლით გამოიხატა. ნაკლები იყო გავლილი კილომეტრების რაოდენობაც.

* BP საქართველოს 2006 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშში 2005 წელს გავლილი კილომეტრების მაჩვენებლად მექანიკური შეცდომის გამო მითითებული იყო 28,844,882.

გარემოს დაცვა [8,9]				
პირდაპირი ნახშირორჟანგი (CO_2) (ტონა)	32,029	35,421	146,084	**408,273**
პირდაპირი მეთანი (CH^4) (ტონა)	202	220	396	**271**
სათბურის აირები (GHG) (CO_2-ის ეკვივალენტი ტონებში)	12,362	13,687	47,675	**123,863**
გოგირდის ორჟანგი (SOx) (ტონა)	39	44	197	**109**
აზოტის ოქსიდი (NOx) (ტონა)	589	651	1,751	**2,704**
არამეთანის ნახშირწყალბადი (NMHC) (ტონა)	1,834	1,990	1,823	**91**
დაღვრის შემთხვევების რაოდენობა (პირველადი გარსაცმის ჰერმეტულობის დარღვევა)[10]	1	1	3	**2**
დაღვრილი პროდუქტის მოცულობა (ლიტრი)	15	70,914	10,416	**75,290**
დაკარგული პროდუქტის მოცულობა (ლიტრი)	10	0	0	**51,000**
შენახული სახიფათო ნარჩენები ($მ^3$)[11]	311	388	243	**383**
განთავსებული არასახიფათო ნარჩენები (ტონა)	603	670	378	**463**

შენიშვნები:

2007 წელს CO_2-ის გაფრქვევის გაზრდილი მაჩვენებელი უკავშირდება ყველა ტურბინის ამოქმედებას მილსადენების ყველა საქაჩ სადგურზე, დამატებითი გენერატორებისა და გაზის გაშრობისა და შეკუმშვის დამატებითი დანადგარების გამოყენებას. აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდა მილსადენების წარმადობის ზრდით არის გამოწვეული. 2006 წელთან შედარებით 2007 წელს SOx-ის გაფრქვევის მაჩვენებლის შემცირების ძირითადი მიზეზია ტურბინების გადაყვანა დიზელის საწვავიდან გაზზე (გოგირდის ნაკლები შემცველობით). სამაგიეროდ, 2007 წელს იმატა NOx-ის გაფრქვევების მოცულობამ, რაც დიდწილად ამავე ცვლილებით არის გამოწვეული. არამეთანის ნახშირწყალბადის გაფრქვევები შეამცირა სუფსის ტერმინალზე ჩატვირთვის ოპერაციებთან დაკავშირებული გაფრქვევების ნაკლებობამ, რაც 2007 წელს ბაქო-სუფსის მილსადენის ექსპლუატაციის გაჩერებით იყო გამოწვეული.

თანამშრომლები				
BP საქართველოს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	531	536	654	**591**
აქედან საქართველოს მოქალაქეები (%)	73	74	75	**84**

შენიშვნები:

2007 წელს BP საქართველოს თანამშრომლებს შორის საქართველოს მოქალაქეების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა უკავშირდება BTC/SCP მილსადენების დასრულებასთან ერთად უცხოელი მოქალაქეების კონტრაქტების დასრულებას, აგრეთვე ჩვენს გამუდმებულ ძალისხმევას ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლების უზრუნველსაყოფად.

[1] უსაფრთხოების მონაცემები მოიცავს საქართველოში განხორციელებულ ყველა საქმიანობას, რომელიც წინამდებარე ანგარიშში არის აღწერილი (WREP, სუფსის ტერმინალი, BTC, SCP და Air BP).

[2] DAFWC: ტრავმა ან ავადმყოფობა კლასიფიცირდება, როგორც „გაცდენილი სამუშაო დღეები", თუ თანამშრომელმა ტრავმის ან ავადმყოფობის შედეგად ვერ შეძლო ემუშავა რომელიმე დღეს, განურჩევლად იმისა, დაგეგმილი იყო თუ არა მუშაობა, ან თუ ექიმის ან ჯანდაცვის სხვა ლიცენზირებული სპეციალისტის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ მუშაკი სახლში დარჩენილიყო, იგი მაინც გამოცხადდა სამუშაოზე.

[3] BP-ის მუშახელში იგულისხმება BP-ის ყველა თანამშრომელი, BP-ის ყველა კონტრაქტორი და BP-ის ყველა დირექტორი.

[4] DAFWCf – მუშახელი: BP-ის მუშახელის მიერ ტრავმის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების აღრიცხული რაოდენობა, იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.

[5] აღრიცხვადი ტრავმა არის ისეთი სახის ტრავმა ან ავადმყოფობა, რომელიც დასრულდა ლეტალური შედეგით, გაცდენილი სამუშაო დღით, შეზღუდული მუშაობით, სამუშაოს გადაბარებით ან პირველადი დახმარების გარდა გაწეული სამედიცინო მომსახურებით.

[6] აღრიცხვადი ტრავმების სიხშირე: BP-ის თანამშრომლების აღრიცხვადი ტრავმების საერთო რაოდენობა იმავე პერიოდში ნამუშევარ ყოველ 200000 საათზე.

[7] ავტოსატრანსპორტო შემთხვევების საერთო სიხშირე: მსუბუქი ავტომანქანების, სატვირთო ავტომანქანებისა და პორტატული ტექნიკის გადაადგილებისას მომხდარი ყველა ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა ჯამი ყოველ ერთ მილიონ გავლილ კილომეტრზე.

[8] ყველა გარემოსდაცვითი მაჩვენებელი ასახავს BP-ის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ გაფრქვევებს, გარდა „სათბურის აირების პირდაპირი გაფრქვევისა", რომელიც უჩვენებს მხოლოდ BP-ის წილს გაფრქვევებში იმ საწარმოებიდან, რომელშიც BP-ის წილობრივი მონაწილეობა გააჩნია.

[9] 2004 და 2005 წლის მონაცემები მოიცავს BP-ის საქმიანობას ბაქო-სუფსის მილსადენსა და სუფსის ტერმინალზე. 2006 და 2007 წლის მონაცემები მოიცავს BP-ს საქმიანობას სამივე მილსადენსა (BTC, SCP და WREP) და მათთან დაკავშირებულ ობიექტებზე.

[10] BP ჯგუფში ნახშირწყალბადის დაღვრად განიხილება ერთი ბარელის ტოლი (159 ლიტრი, ანუ 42 ამერიკული გალონი) ან მეტი მოცულობის პროდუქტის დაღვრა.

[11] ნარჩენების აღმნიშვნელი მონაცემები მოიცავს დროებით შენახულ სახიფათო და ნაგავსაყრელზე განთავსებულ არასახიფათო ნარჩენებს. ინფორმაცია გამოთვლილია 2004-07 წლების მონაცემებზე დაყრდნობით და პირველად ქვეყნდება.

2

ბავშვები BP-ის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო ღონისძიებაზე

ჩვენი როლი საზოგადოებაში

2.1 განათლება
2.2 ბიზნესის განვითარება
2.3 ხელმისაწვდომი ენერგია

საქმიანობის პასუხისმგებლობით წარმართვა ჩვენი კორპორაციული პასუხისმგებლობის კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ასევე ვცდილობთ, რომ ჩვენს საქმიანობას საქართველოში ისევე, როგორც ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ვმუშაობთ, თან ახლდეს მრავალმხრივი სარგებელი ამ ქვეყნების მოსახლეობისათვის. ჩვენი ერთობლივი გამოცდილებისა და რესურსების გამოყენებით და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ვცდილობთ, გამოვეხმაუროთ ადგილზე არსებულ საჭიროებებს და ადგილობრივ პირობებზე მორგებული პროგრამებით ხელი შევუწყოთ ცალკეული ადამიანებისა თუ მოსახლეობის ჯგუფების შესაძლებლობათა ზრდას და საზოგადოებრივი ინსტიტუტების გაძლიერებას.

ჩვენი საზოგადოებრივი და სოციალური პროგრამებით ფართო სპექტრისა და მიმართულების პროექტებს ვაფინანსებთ. ბევრი მათგანი შეეხება განათლების სფეროსა და ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, ხოლო ნაწილი მიზნად ისახავს ეფექტური მართვის ხელშეწყობას გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით.

2.1 განათლება

საქართველოში საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამების დაწყებისთანავე განათლება მათ მნიშვნელოვან კომპონენტად ვაქციეთ. ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ისეთი სწრაფ ეფექტზე გათვლილი პროექტები, როგორიცაა სკოლის შენობების შეკეთება, აგრეთვე გრძელვადიანი ინიციატივები, რომლებიც სტუდენტების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება.

სკოლების დახმარება 2004 წლიდან საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა „გაუმჯობესებული სკოლების პროექტი“ (CIP-ISP). პროექტის ფარგლებში შეკეთდა სკოლები, გადამზადდნენ მასწავლებლები, მოეწყო საინფორმაციო კამპანიები განათლების რეფორმის საკითხებზე და გაიხსნა საზაფხულო ბანაკები. 2004 წლიდან დღემდე, საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში განათლების სფეროს პროექტებზე 2,6 მილიონი დოლარი დაიხარჯა.

2007 წელს დავიწყეთ საინვესტიციო პროგრამა სუფსის ტერმინალის ახლომდებარე სკოლებისთვის. პროგრამა მოიცავს სკოლის შენობების კეთილმოწყობას, სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის ტრენინგების ჩატარებას ბიუჯეტის დაგეგმვისა და პროექტების მართვის საკითხებზე, სკოლის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ინიციატივის განხორციელებას. ერთ-ერთი ასეთი ინიციატივაა ეკო-კლუბები, რომლებსაც მოსწავლეები ქმნიან და ახოციელებენ ეკოლოგიურ პროექტებს. ჩვენი მხარდაჭერით გაიმართა კონკურსი უცხო ენებში, რომელშიც 25 სკოლის 645 მოსწავლე მონაწილეობდა, აგრეთვე არაერთი სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიება ლიდერობის უნარ-ჩვევებისა და კონფლიქტების მოგვარების თემებზე.

ჩვენ ასევე დავაფინანსეთ მცირე გრანტების პროგრამა ბაქო-სუფსის მილსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარე სკოლებისთვის. სკოლებს შეუძლიათ, განაცხადით მიმართოთ BP-ს გრანტის მისაღებად, რომელსაც შენობის კეთილმოწყობისთვის ან უფრო ფართო საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენებენ. ჩვენი ინიციატივით სკოლებში გაიმართა წამახალისებელი ვიქტორინები მილსადენებთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე. გრანტების პროგრამის მართვა ჩავაბარეთ ჩვენს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს, რითაც უზრუნველვყოფთ, რომ პროგრამით დაფინანსებული პროექტები თითოეული სოფლის კონკრეტულ საჭიროებებს მაქსიმალურად პასუხობდეს.

სამაგისტრო პროგრამების მხარდაჭერა 2007 წელს ჩვენი ფინანსური მხარდაჭერითა და „ბრიტანეთის საბჭოს“ ორგანიზებით, ყოველწლიური სამაგისტრო პროგრამის მონაწილეთა მესამე ნაკადი 9 ქართველი სტუდენტის შემადგენლობით გაემგზავრა სამაგისტრო განათლების მისაღებად დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში.

ვაგრძელებთ თბილისის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) დახმარებას, რაშიც BP-ის მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს, შვედეთისა და ნორვეგიის მთავრობებთან ერთად. ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა უზრუნველყოფს მაღალი დონის სამაგისტრო სწავლებას ეკონომიკის სფეროში. ფუნქციონირების პირველ წელს დაინიშნა სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი და სკოლა გადავიდა ახალ შენობაში.

ტრენინგები სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრებისათვის

BTC და SCP მილსადენების მარშრუტებისა და სუფსის ტერმინალის მიმდებარე სკოლებში ჩვენი ფინანსური მხარდაჭერით CARE International-მა განახორციელა ტრენინგების პროგრამა სკოლების სამეურვეო საბჭოებისთვის. ინიციატივა ეხმაურება საქართველოს მთავრობის კონცეფციას სკოლებში სამეურვეო საბჭოების არჩევისა და მათი როლის გაძლიერების შესახებ. მიგვაჩნია, რომ სამეურვეო საბჭოების კვალიფიკაციის ამაღლებით ამ სოფლების სკოლებისთვის ქმედითი დახმარების გაწევა შეგვიძლია. ტრენინგების პროგრამა მოიცავდა სამეურვეო საბჭოს მართვის საკითხებს, კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების უნარ-ჩვევებს, საბჭოს წევრების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას. დამსწრეთა პირველი შეფასებები ტრენინგების შესახებ დადებითია და აღნიშნულია, რომ ტრენინგებზე მიღებული ცოდნა მათ დაეხმარა სტრატეგიისა და ფუნქციების უკეთ გარკვევაში და საბჭოს სხდომების უკეთ წარმართვაში. მომავალში ტრენინგების გამრავალფეროვნებაზე ვმუშაობთ. რეკომენდებულ თემებს შორისაა, მაგალითად, სკოლის ფინანსების მართვა, საკადრო პოლიტიკა და სკოლის ცხოვრებაში მშობლების მეტად ჩართვის უზრუნველყოფა.

2.2 ბიზნესის განვითარება

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი დასაქმების ზრდაა. ამ მხრივ ჩვენი წვლილი 500 საქართველოს მოქალაქის დასაქმებით გამოიხატება. ადგილობრივი კონტრაქტორებისა და მომწოდებელების მომსახურების გამოყენებით ვქმნით ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს ვუწყობთ მდგრადი პოტენციალის შექმნას და ჩვენი წვლილი შეგვაქვს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და სტაბილურობაში. ჩვენ ამით არ შემოვიფარგლებით და პარტნიორებთან ერთად ვახორციელებთ მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობ პროექტებს ხელმისაწვდომი კრედიტების, ბაზარზე გასვლის გაზრდილი შესაძლებლობების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების უზრუნველყოფის გზით.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იმის გათვალისწინებით, რომ მილსადენის მარშრუტების სიახლოვეს მცხოვრები მოსახლეობისთვის სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, 2007 წელს წამოიწყეთ სოფლის მეურნეობის განვითარების სამწლიანი პროგრამა, რომელსაც CARE International ახორციელებს და რომელსაც წინ უძღოდა მილსადენების მიმდებარე რაიონებში ფერმერების მხარდამჭერი სხვა ინიციატივები. ამჯერად ამ პროექტით გათვალისწინებულია ბაზარზე გასვლის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ფერმერთა ასოციაციებისა და კავშირების შექმნა, რითაც ექვსასამდე ფერმერი ისარგებლებს 20-ზე მეტ სოფელში.

მეწარმეობის განვითარება მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონული განვითარების ინიციატივის (RDI) ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. RDI-ს დაწყება ოფიციალურად 2007 წელს აღინიშნა, თუმცა BP-ისა და პარტნიორების ეს ინიციატივა 2005 წლიდან იღებს სათავეს და მას წინ უძღოდა ინტენსიური კონსულტაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან რეგიონის მასშტაბით. ინიციატივა გათვლილია მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მოსახლეობისათვის.

პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია განვითარების სააგენტოებთან და მთავრობებთან თანამშრომლობა, რაც შეთანხმებული მოქმედებებისა და პროგრამის ეფექტური განხორციელების საწინდარია. პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებს შორის არიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (CIDA). RDI-ის კონცეფციით, ნავთობისა და გაზის კომპანიების მიერ გაღებულ თითო დოლარს სხვა ორგანიზაციების მხრიდან იმავე ოდენობის (ან მეტი) ინვესტიცია ემატება.

დღეისათვის დამტკიცებულია და განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეა რვა პროექტი, რომელთა ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება ერთ საერთო მიზანს ემსახურება, რაც დოვლათის შექმნაში არსებული დაბრკოლებების მოხსნასა და

ქალთა თაოსნობით დაწყებული ბიზნესის პროექტების მხარდაჭერა

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ეს პროექტი უზრუნველყოფს ტრენინგებს ბიზნესის დაწყების მსურველი ქალებისათვის. ინიციატივა ეხმაურება იმ ფაქტს, რომ საქართველოში ბევრი ქალი ეკონომიკური საქმიანობისგან იზოლირებულია და საქმიანი პროექტების რეალიზაციის შესაძლებლობა არ ეძლევა. ბიზნესის გეგმებისა და კომერციული წინადადებების შედგენის უნარ-ჩვევების ტრენინგების გავლის შემდეგ, შემოვიდა განაცხადები და გაიცა გრანტები 11 გამარჯვებულ პროექტზე, რომლებსაც სულ 16 ქალი ჩაუდგება სათავეში. თითო ბიზნესიდეა დაახლოებით 800 დოლარის გრანტით დაფინანსდა. პროექტები ეხებოდა საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მათ შორისაა მეფრინველეობა, რძის პროდუქტებისა და პურ-ფუნთუშეულის წარმოება და სამკერვალოების გახსნა.

ხელმისაწვდომი დაფინასება

რეგიონული განვითარების ინიციატივის ერთ-ერთი პროექტი გადასესხების კაპიტალითა და ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფს ფონდ „კონსტანტას“, რომელიც კრედიტებს გასცემს მცირე და საშუალო საწარმოებზე ქვეყნის მასშტაბით გახსნილი ფილიალების ქსელის მეშვეობით.

ფონდის კრედიტუნარობის ასამაღლებლად გახსნილია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 3,5 მილიონი დოლარის ღირებულებულების შეღავათიანი საკრედიტო ხაზი. ჩვენ ფონდს ასევე უზრუნველვყოფთ 500000 დოლარის კაპიტალით შემდგომი გასესხებისთვის და 100000 დოლარის ღირებულების ტექნიკური დახმარებით ფონდის შიდა კონტროლის სისტემების განმტკიცების, ადგილობრივი პერსონალის გადამზადებისა და საკრედიტო დოკუმენტაციის მომზადების იურიდიული ხარჯების დასაფარად.

მეწარმეობის ხელშეწყობას გულისხმობს. ინფრასტრუქტურის განვითარებას ხელს ვუწყობთ ბორჯომში მიმდინარე მყარი ნარჩენების პროექტითა და სასმელი წლით მომარაგებისა და ნარჩენი წყლების მართვის სისტემების მოწყობით ბორჯომსა და ბაკურიანში. პროექტების ერთი ნაწილი უზრუნველყოფს დაფინანსების ხელმისაწვდომობას, მათ შორის, მიკროსესხების მეშვეობით. სხვა ინიციატივები ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნის გზით, ასევე საქართველოში მოქმედი კომპანიების კორპორატიული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას. ბორჯომის რაიონში კერძო ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას იღებს მერძევეობისა და მეფუტკრეობის სექტორები.

რეგიონული განვითარების ინიციატივის ფარგლებში საქართველოში დღემდე სულ 13,5 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, ხოლო 2008 წლიდან BP და პარტნიორები წელიწადში დაახლოებით 4 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ.

სავაჭრო და საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა ჩვენი თავმჯდომარეობით საქმიანობას აგრძელებს ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო (EUGBC), რომელიც 2006 წელს BP-ისა და Statoil-ის ფინანსური დახმარებით დაფუძნდა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების გაღრმავებას ისახავს მიზნად.

2007 წელს ბიზნესსაბჭოს საქმიანობა მოიცავდა მოლაპარაკებებს ევროკავშირისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ოფიციალურ პირებთან ვაჭრობის, ინვესტირებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, აგრეთვე ქართული ღვინის წარმოების და საბჭოში გაწევრიანებული სხვა ბიზნესების აქტიურ მხარდაჭერას ევროპაში.

კორპორატიული მართვის პროექტი საქართველოში

RDI-ის 2007 წლის აპრილში წამოწყებული ეს პროექტი მიზნად ისახავს ქართული კომპანიების კორპორატიული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას, მათ დახმარებას მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად და ადვილად ხელმისაწვდომი კაპიტალით უზრუნველყოფას. პროექტის ძირითადი ამოცანებია ქართული კომპანიებისა და ბანკებისთვის ცოდნის გაზიარება კორპორატიული მართვის საკითხებში, მართვის მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა, მჭიდრო თანამშრომლობა მთავრობასთან იმ საკანონმდებლო ბაზის გასაუმჯობესებლად, რომელიც საქართველოში კორპორატიული მართვის სფეროს არეგულირებს და საზოგადოების გათვითცნობიერებას კორპორატიული მართვის საკითხებში. პროექტი დავაფინანსეთ 400000 დოლარით, რასაც დაემატა 550000 დოლარის დაფინანსება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მხრიდან და 828000 დოლარი კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან.

2007 წლის განმავლობაში პროექტის მონაწილეების ძალისხმევით ცვლილებები შევიდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულიერებელ ახალ კანონში, კერძოდ, მის დებულებებში, რომლებიც ინტერესთა შეუთავსებლობასა და ინფორმაციის გამჟღავნებას ეხებოდა. ეს იყო მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი წვრილი აქციონერების უფლებების დასაცავად. 35 ქართული კომპანიისა და ბანკის წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი კორპორატიული მართვის საკითხებში, გაიმართა სემინარები სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ბანკების კორპორატიული მართვის, კომპანიებისა და ბანკების შიდა კონტროლის მექანიზმების საკითხებზე. სულ სემინარებში კომპანიების, ბანკებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 69 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

2.3 ხელმისაწვდომი ენერგია

BP ჯგუფის მასშტაბით ვცდილობთ, ხელმისაწვდომი ენერგიის წყაროები შევუქმნათ ადგილობრივ მოსახლეობას იქ, სადაც ამის საჭიროებაა. საქართველოში, გარდა იმისა, რომ ქვეყნის შიდა ბაზარს პირდაპირ ვამარაგებთ გაზის ესოდენ საჭირო რესურსით, ასევე ვზრუნავთ ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ჩვენი წვლილი შეგვაქვს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების ფიზიკურ აღდგენაში და, აგრეთვე, ორგანიზაციებსა და ცალკეულ ადამიანებს ვაცნობთ ენერგიის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობასა და ხერხებს.

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბლიტაცია საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან (GOGC) გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2007 წელს BP-იმ და პარტნიორებმა გააგრძელეს ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბლიტაციის ფართომასშტაბიანი პროექტისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა. ამ გაზსადენის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია გაზითა და ელექტროენერგიით საქართველოს მოსახლეობის უწყვეტი მომარაგებისათვის.

1960 წელს აგებული ეს გაზსადენი, რომელსაც უკანასკნელად სარემონტო სამუშაოები 1980-იან წლებში ჩაუტარდა, ქვეყნის გაზმომარაგების სისტემის მნიშვნელოვანი, მაგრამ მოძველებული ნაწილია. აშშ-ის მთავრობის „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ 40 მილიონი დოლარის ღირებულების რეაბილიტაციის პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე პროექტის ტექნიკური დახმარების დასაფინანსებლად ჩვენ 1,1 მილიონი დოლარი გავიღეთ. ჩვენმა სპეციალისტებმა მოამზადეს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის თანამშრომლები პროექტის მართვაში, რაც მოიცავს დაგეგმვისა და აღრიცხვის, ხარჯების კონტროლის, კონტრაქტორების მართვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებს და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებას.

საზოგადოების გათვითცნობიერება ენერგოეფექტურობის საკითხებში საქართველოში ვგეგმავთ სამწლიან ინიციატივას, რომელიც მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის საკითხებზე და ხელმისაწვდომი კრედიტებით უზრუნველყოფს საოჯახო მეურნეობებსა და მცირე ბიზნესებს ენერგოეფექტური პროდუქციის შესაძენად. პროგრამა ეფუძნება 2004-07 წლებში BP-ის მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული მსგავსი ინიციატივით მიღებულ გამოცდილებას.

საზოგადოების ინფორმირება ენერგეტიკის სფეროს შესახებ

2007 წლის ოქტომბრიდან „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ BP საქართველოს დაფინანსებით ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია საზოგადოების ცოდნის ამაღლება ენერგეტიკის საკითხებში და ინფორმაციის გავრცელება ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ. პროექტის ფარგლებში ენერგეტიკის საკითხებზე ეწყობა სემინარები ჟურნალისტებისათვის, წელიწადში სამჯერ მზადდება საგაზეთო ჩანართი ვრცელი სტატიებით ენერგეტიკის თემაზე, გამოიცემა და ვრცელდება ყოველთვიური ანგარიშები და ტარდება ყოველკვარტალური კონკურსი საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრისთვის ამ დარგში.

„BP-ის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის მეშვეობით ჟურნალისტებს ვაწვდით უახლეს ინფორმაციას ენერგოსექტორში განვითარებულ მოვლენებსა და სახელმწიფოს ენერგოპოლიტიკაში დაგეგმილ ცვლილებებზე. პროექტით ასევე ხაზგასმულია ჟურნალისტის როლი ამ საკითხების გაშუქებასა და საზოგადოებისთვის მიწოდებაში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობისათვის, რაც გულისხმობს კორუფციასთან ბრძოლას გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის გზით“.

თამუნა ქაროსანიძე, აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

ტერმინების განმარტება და დამატებითი ინფორმაცია

BTC	ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი
CLO	საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები
CMAS	კომპეტენტურობის მართვის შეფასების სისტემა
CO_2	ნახშირორჟანგი
DAFWC (f)	შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცდენილი სამუშაო დღეები (სიხშირე)
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EDDF	ნავთობის ავარიულად ჩამოსაცლელი ობიექტი
EU	ევროკავშირი
EUGBC	ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო
GHG	სათბურის აირი
GOGC	საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GYLA	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IMT	ინციდენტის მართვის ჯგუფი
ISP	გაუმჯობესებული სკოლების პროექტი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PAS	თანამშრომელთა მოთხოვნების შესწავლა
PMDI	მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა
RDI	რეგიონული განვითარების ინიციატივა
SCP	სამხრეთ კავკასიური გაზსადენი
SOC	დაკვირვება უსაფრთხო ქცევაზე და გასაუბრება
SPPD	სტრატეგიული მილსადენების დაცვის სამმართველო
WREP	დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი (იგივე ბაქო-სუფსის მილსადენი)

BP-ის მდგარი განვითარების ანგარიშების სტრუქტურა BP აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი არაფინანსური ვადებულებებისა და საქმიანობის შესახებ ჯგუფის, ქვეყნისა და ცალკეული საწარმოების დონეზე როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული ფორმით.

ჯგუფის მდგრადი განვითარების ანგარიში
BP ჯგუფის მდგრადი განვითარების ანგარიში წარმოდგენილია ინგლისურ, გერმანულ, ჩინურ, რუსულ და ესპანურ ენებზე და BP-ის საქმიანობის მაჩვენებლები ნაჩვენებია ინტერაქტიული დიაგრამების სახით.
www.bp.com/sustainability
www.bp.com/hsecharting tools
www.bp.com/sustainabilityworldwide

ცალკეული ქვეყნების ანგარიშები ანგარიშები ეხება ჩვენს საქმიანობას ანგოლაში, აზერბაიჯანში, გერმანიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, ტრინიდადი და ტობაგოსა და თურქეთში.
www.bp.com/countrysustainabilityreports
www.bp.com/worldwide

ცალკეული საწარმოების ანგარიშები
ქვეყნდება აგრეთვე კონკრეტული საწარმოების ანგარიშები და მონაცემები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, წყალმომარაგებისა და წყლის ხარისხის, ბიომრავალფეროვნებისა და საწარმოო ნარჩენების მართვის შესახებ.
www.bp.com/sitereports
www.bp.com/environmentalmappingtool
www.bp.com/casestudies

გამოხმაურება თქვენი აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. შეგიძლიათ, მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე კომუნიკაციისა და საგარეო ურთიერთობათა განყოფილების სახელზე, ან ელ-ფოსტით მისამართზე: bpgeosust@bp.com

BP საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქ. №38

ამავე მისამართზე უსასყიდლოდ შეგიძლიათ მიიღოთ BP საქართველოს გასული წლების მდგრადი განვითარების ანგარიშების ასლები.

დიზაინერი: ბესიკ დანელია
პროექტის კოორდინატორი: ეკა გრიგალავა